სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივნისს მე, ნოტარიუსს თამარ ონიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზირი №97, მომმართა შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორმა გელა გოგრიჭიანმა, რომელიც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს გივი გოგრიჭიანს. მე დავადგინე გელა გოგრიჭიანის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გელა გოგრიჭიანმა (დაბადებული 22.07.1981წელს, თბილისში, მისამართი: ონი ს. ცხმორი, ბარათის №151B44445, პირადი №01022004748, გაცემული 26.05.2016წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე დავადგინე შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორის გელა გოგრიჭიანის უფლებამოსილება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი; 24.04.2023 წელს, რეგისტრაციის თარიღი: 03.06.2013 წელს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო №406095130 და ასევე მისი ქმედუნარიანობა, და ნების გამოხატვის ნამდვილობა.

მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მინდობილობის გამცემმა წაიკითხა ეს მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივნისს, ამ მინდობილობით შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორმა გელა გოგრიჭიანმა, შემდგომში „მინდობილობის გამცემი" გივი გოგრიჭიანმა (დაბადებული 03.07.1955 წელს, ონში, მისამართი: თბილისი თორნიკე ერისთავის ჩიხი N 3 ბ. 90, ბარათის №13IF09167, პირადი №60003000511, გაცემული 16.06.2014წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ)რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც –„მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „ბინექს"-ის (ს.ნ 406095130) დირექტორის გელა გოგრიჭიანის წარმომადგენელი საზოგადოების კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში და სხვა უძრავ ქონებებთან მიმართებაში, განახორციელოს, პროექტის ნარდგენის წინა სამუშაოები, დაპროექტების, არსებული პროექტების კორექტირების და პროექტის ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმება და ყველა სამუშაო რაც საჭიროა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად და ნებისმიერ დროს კორექტირების განსახორციელებლად. შეიტანოს განცხადება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, წარადგინოს პროექტი და კორექტირებული პროექტი თავის შეხედულებისამებრ, გააერთიანოს, გამიჯნოს, გასცეს ნებისმიერი თანხმობა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა, ნებართვა და სხვა დოკუმენტი. გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი და მოსაკრებელი. მიიღოს ყველა დოკუმენტი საქართველოს ყველა ადმინისტრაციული ორგანოდან, აღნიშნული დავალების შესასრულებლად გივი გოგრიჭიანი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება და ხელმოწერა რაც კონკრეტულად არარის გაწერილი წინამდებარე მინდობილობაში, თუმცა აუცილებელია ზემოაღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 3 წლის ვადით და ძალაშია 2026 წლის 13 ივნისის ჩათვლით.

გადახდილი სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 ლარი, დღგ 5.40 ლარი, სულ 35.40 ლარი და ხუთი (5.00) ლარი, რეგისტრაციის საზღაური, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათ გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ „31-ე მუხლისა, 39 მუხლის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: _____ (თამარ ონიანი)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

38997340272323

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230770444

რეგისტრაციის თარიღი

13.06.2023 წ

ნოტარიუსი: თამარ ონიანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 97
ტელეფონი: 599 57 87 57

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18